

სადაზღვევო ბაზრის მდგრადობის ანალიზი

ცინცაძე ასიე – პროფესორი, ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

მელოიანი-ფუტკარაძე ლილითი – ასისტენტ-პროფესორი, ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

Sustainability Analysis of the Insurance Market

Tsintsadze Asie – Professor, Department of Finances, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Meloiani-Putkaradze Liliti – Assistant Professor, Department of Finances, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Abstract

Introduction and aim: The development of insurance depends on analyzing risk factors of economic subjects and individual citizens, unlike other fields. This can be achieved through psychological, legal and orderly rules, laws and methods. Nowadays as a result of great historical development, insurance market is one of the strongest fields in the world. They are the main players of the financial market by performing an investment function. The sustainability of the insurance market is based not only on the users of insurance product, but also it is guarantee of the stability of the country's financial market as a whole. Therefore, the main focus of this article is to study the insurance market of developing countries.

Research methodology: During the last seven years, the Georgian insurance market under the terms of economic activity has not been growing in terms sustainably. Although the insurance is probable and the high level of indefinite does not provide the opportunity to succeed, however, there are other hindering factors with the help of which the increase of sustainability of the insurance market can be achieved. Regulation of the sustainability of the insurance market is the primary task of the insurance supervision service, so correctly selected regulation tools, their legal use, provision of the competitive environment of the market, the formation of correct tariff policy, are the generator of the growth of the insurance industry and the overall financial market stability. Developing countries do not have a high level of insurance market development. Along with the low level of economic development in these countries the perception of insurance products as a necessary one is a problem. Problem research requires an empirical analysis of the current situation, which allows to develop mechanisms on the bases of insurance culture, supervision norms, and legal regulation norms of the particular country.

Results and implications: The conclusion is that the financial sustainability of insurance companies primarily depends on the volume of claims and secondly on the income derived from investment activities whose successful implementation can compensate for increased loss.

Conclusion: Based on the studied materials, performed calculations and the results obtained, can be made conclusions, that Georgian insurance market during the discussed years is stable average sustainability, as well is table but very little is the share of insurance in the country's GDP, accordingly, the small amount of income from investment activities is presented.

Keywords: sustainability, investment income, the total output, the norm of the loss.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: დაზღვევის დარგის განვითარება სხვა დარგებისაგან განსხვავებით ეკონომიკური სუბიექტების და ცალკეული მოქალაქეების მიერ რისკიანი სიტუაციების გაანალიზებაზეა დამოკიდებული. ამის მიღწევა კი ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და რიგი ეკონომიკური წესების, კანონებისა და მეთოდებით არის შესაძლებელი. დიდი ისტორიული განვითარების შედეგად დღეს მსოფლიოში სადაზღვევო ბაზრები მძლავრ ინდუსტრიას წარმოადგენენ. ისინი ფინანსური ბაზრის მთავარი მოთამაშეები არიან საინვესტიციო ფუნქციის შესრულებით. სადაზღვევო ბაზრის მდგრადობა არაა მხოლოდ სადაზღვევო პროდუქტის მომხმარებელთა მხრიდან საიმედოობის ნიშნით შეფასების ობიექტია, არამედ მთლიანად ქვეყნის ფინანსური ბაზრის

სტაბილურობის გარანტია. გამომდინარე აქედან, სტატიაში მთავარი ყურადღება განვითარებადი ქვეყნის დაზღვევის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლაზეა მიქცეული.

კვლევის მეთოდოლოგია: ბოლო შვიდი წლის მანძილზე, ეკონომიკური აქტივობის ზრდის ფონზე ქართული დაზღვევის ბაზარი მდგრადობის ზრდით არ გამოირჩევა. მართალია დაზღვევა ალბათურია და განუსაზღვრელობის მაღალი დონე არ იძლევა წარმატების იოლად მიღწევის შესაძლებლობას, თუმცა არის სხვა ხელის შემშლელი ფაქტორები, რომელთა აღმოფხვრით მიიღწევა დაზღვევის ბაზრის მდგრადობის ზრდა. სადაზღვევო ბაზრის მდგრადობის რეგულირება სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის უპირველესი ამოცანაა, ამიტომ სწორად შერჩეული რეგულირების ინსტრუმენტები, მათი სამართლიანი გამოყენება, ბაზრის კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა, სწორი სატარიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, არის დაზღვევის ინდუსტრიის ეფექტიანობისა და მთლიანად ფინანსური ბაზრის სტაბილურობის ზრდის გენერატორი. განვითარებადი ქვეყნები დაზღვევის ბაზრის განვითარების მაღალი დონით არ გამოირჩევიან. ამ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების დაბალ დონესთან ერთად სადაზღვევო პროდუქტის აუცილებელ პროდუქტად აღქმის პრობლემაა. პრობლემათა კვლევა მოითხოვს არსებული მდგომარეობის ემპირიულ ანალიზს, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული ქვეყნის სადაზღვევო კულტურის, ზედამხედველობის ნორმების, სამართლებრივი რეგულირების ნორმების შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბდეს მექანიზმები, მორგებული ქვეყნის სპეციფიკაზე.

შედეგები და გამოყენება: სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობა პირველ რიგში დამოკიდებულია ზარალების მოცულობაზე და მეორე რიგში საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე, რომლის წარმატებით განხორციელებამ შესაძლებელია გაზრდილი ზარალის კომპენსაცია მოახდინოს.

დასკვნა: შესწავლილი მასალების, შესრულებული გათვლების და მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარი განხილული წლების განმავლობაში სტაბილურად საშუალო მდგრადობისაა, ასევე სტაბილურია, მაგრამ ძალიან მცირე ქვეყნის მშპ-ში დაზღვევის წილი, შესაბამისად მცირე მაშტაბებითაა წარმოდგენილი საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

საკვანძო სიტყვები: მდგრადობა, საინვესტიციო შემოსავალი, მთლიანი გამოშვება, ზარალიანობის ნორმა.

შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება ქვეყნებს შორის, ეკონომიკური სუბიექტების მიერ გადაწვეტილებების დამოუკიდებლად მიღება სამეწარმეო თუ არასამეწარმეო სფეროში, განუსაზღვრელობის მასშტაბების და ახალი რისკები გაჩენას იწვევს. შესაბამისად იზრდება მოთხოვნა სადაზღვევო დაცვაზე. გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება მზღვეველებისგან ახალი პროდუქტების შემუშავებას, გადახდისუნარიანობის შენარჩუნებას, რისკების შეფასების მეთოდების დახვეწას, ოპტიმალური სატარიფო პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. დაზღვევა, როგორც ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი რგოლი, საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მიდგომას, მათი საქმიანობის მარეგულირებელი წესების: გადახდისუნარიანობის შეფასების, რეზერვების ფორმირებისა და განთავსების, მოგების დაბეგვრის კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებისას. განსაკუთრებული მიდგომა დაფუძნებულია სადაზღვევო პროდუქტის სპეციფიკურობაზე. დაზღვევის პროდუქტი, არ უნდა გაიგივდეს მომსახურების მიწოდებასთან, რადგან მყიდველი იძენს სადაზღვევო პროდუქტს და მასზე მომსახურების მიწოდება მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ხდება, სხვა შემთხვევაში ის პროდუქტად რჩება ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე. ამ ორ განმარ-

ტებას შორის პარალელის გავლება მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციიდან შემოსავალი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საინვესტიციო საშუალებას, ვინაიდან მასზე მოსალოდნელი ზარალის მიღების დაფარვის მიზნით ზარალების რეზერვის ფორმირება უნდა მოხდეს. გამომდინარე აქედან, საინვესტიციო რესურსი შეზღუდულია მომავალში მოსალოდნელი მოვლენების გამო.

დაზღვევის ბაზრის ემპირიული ანალიზი

დაზღვევის დარგის განვითარება დამოკიდებულია ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებაზე, და ამავე დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვა დარგების განვითარებასა და მატერიალური მდგომარეობის შენარჩუნებაში, სტატიის მიზნად შერჩეული იქნა დაზღვევის დარგის განვითარების დონის შეფასება მშპ-ში მისი წილის, საინვესტიციო პოტენციალის, ზარალიანობის ნორმის და გრძელვადიანი სიცოცხლის დაგროვებადი და დაბრუნებადი დაზღვევის წილის ემპირიული ანალიზის მიხედვით. სადაზღვევო პროდუქტის სადაზღვევო მომსახურებად გარდაქმნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საჭიროა დადგინდეს რა სახით შედის მშპ-ში სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის შედეგი, როგორც პროდუქტის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, თუ სადაზღვევო მომსახურების გაწევით წარმოქმნილი ხარჯი. არსებობს მშპ-ს გაანგარიშების სამი მეთოდი: შემოსავლების, ხარჯების და დამატებული ღირებულების. გამომდინარე იქედან, რომ სადაზღვევო საქმიანობა არის სპეციფიკური, სპეციფიკური პროდუქტის მიმწოდებელი, მაგრამ მომსახურება მატერიალურად ანაზღაურებაში ასახება, მშპ-ს გათვალა კომბინირებული მეთოდით ხდება ანუ:

$$\text{მშპ} = P - \text{სანაზღაურება} + I - R$$

P-დაზღვევის პრემია;

სანაზღაურება-- სადაზღვევო ანაზღაურება;

I--საინვესტიციო შემოსავალი;

R--ტექნიკური რეზერვების ზრდა;

ფორმულა სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის დაზღვევის დარგის წილზე ქვეყნის მშპ-ში, ასევე თვით დაზღვევის საქმიანობის შედეგზე და მის ფინანსურ მდგრადობაზე რეზერვების მატების მაჩვენებლის მიხედვით. საქართველო დაზღვევის დარგის განვითარების 25 წლიან ისტორიას ითვლის. ეს არც თუ ისე დიდი პერიოდია იმ ქვეყნისათვის, რომელიც 70 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის შემადგენელი იყო, სადაც დაზღვევა მონოპოლიზირებული იყო სახელმწიფოს მიერ და მოსახლეობის მხრიდან მოსალოდნელი რისკების გათვითცნობიერება და შესაბამისი დაზღვევის პროდუქტის მოთხოვნა გამორიცხული იყო. ქართული დაზღვევის ბაზარი განვითარების პროცესშია. სრულყოფილად არ არის ათვისებული სადაზღვევო პროდუქტები, დაზღვევის კულტურა არის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი მოთხოვნის ზრდაზე, დაბალი ეკონომიკური განვითარება პირდაპირ ახდენს გავლენას დაზღვევის კულტურის ჩამოყალიბებაზე, თითქმის არ არის რეალიზებული სიცოცხლის გრძელვადიანი დაგროვებადი დაზღვევის პროდუქტი. პრობლემების დასადგენად ჩატარდა ემპირიული კვლევა, და ჩამოყალიბდა წინადადებები, რომელთა გატარებით განისაზღვრება დაზღვევის დარგის განვითარების სტრატეგია.

ზემოთ მოყვანილი ფორმულის და სხვა ალგორითმების გამოყენებით შესრულებულია სადაზღვევო ბაზრის მდგრადობის შეფასების ემპირიული ანალიზი (ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს მთლიანი გამოშვების მონაცემების მიხედვით მშპ-ში დაზღვევის წილი ძალიან მცირეა 0.3-0.9 %. მაშინ, როდესაც განვითარებული ქვეყნების მშპ-ში დაზღვევის დარგის წილი 6-10% პროცენტია. რა განაპირობებს არსებულ მდგომარეობას: ჯერ ერთი დაზღვევის დარგის განვითარება დამოკიდებულია მოსახლეობის მიერ დაზღვევის პროდუქტის მოთხოვნაზე, რაც მაღალია ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში; მეორე, სადაზღვევო კომპანიებში რისკების შეფასების პროფესიონალი კადრების ნაკლებობა, რაც ზრდის ზარალების მოცულობას; მესამე, სიცოცხლის დაზღვევის განუვითარებლობის გამო საინვესტიციო პოტენციალის დაბალი დონე; მეოთხე; საფონდო ბაზრის განუვითარებლობა; მეხუთე, მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე; მეექვსე, სახელმწიფოს მხრიდან დაზღვევის განვითარების ხელშემწყობი სამართლებრივი კანონმდებლობის ხარვეზები(მაგ. დაზარალებული პირების ანაზღაურების საჩივრების დროში გაწელვა, მზღვეველთა მიერ ჩადენილი თაღლითობების ფაქტებზე არადროული რეაგირება და სხვა). ზარალიანობის მაღალი ნორმა (0.5-0.8) მიაჩნდება რისკების შეფასების მეთოდოლოგიის ხარვეზზე ან ანდერრაიტინგის არაპროფესიონალიზმზე. რაც შეეხება, მზღვეველთა მიერ გაწეულ ხარჯებს (გარდა ზარალების ანაზღაურებისა) 18-20%-ის ფარგლებშია და ის ნორმალურად ითვლება.

საერთო სურათი სტაბილური მდგომარეობის შესაბამისია, მაგრამ დაზღვევა, როგორც რისკების შემცველი საქმიანობა მდგრადობის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული. 2010-2016 წლების ანალიზის მიხედვით ყველაზე მაღალი მოგება 2014 წელს ფიქსირდება, მიუხედავად იმისა, რომ ზარალიანობის ნორმა ამ წელს 0.72 %-ია, ხარჯები მცირედით განსხვავდება წინა წლების ხარჯვითი ნაწილისაგან. მთავარი პარამეტრი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მოგების ფორმირებაში საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია (24 088 530ლ). აქედან დასკვნა, რომ სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობა პირველ რიგში დამოკიდებულია ზარალების მოცულობაზე და მეორე რიგში საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე, რომლის წარმატებით განხორციელებამ შესაძლებელია გაზრდილი ზარალის კომპენსაცია მოახდინოს. ამის გათვალისწინებით სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოტენციალს შეფასების ალგორითმი:

$$K = [\sum P - (0.3-0.6) S_{ანაზღ} - (0,2-0.25) E] + [\sum P - (0.3-0.6) S_{ანაზღ} - (0,2-0.25) E] 0.5$$

სადაც, $\sum P$ -- მოზიდული ჯამური პრემია (ბრუტო);

E-კომპანიის მიერ გაწეული ხარჯი (ზარალის ანაზღაურების გარდა);

$S_{ანაზღ}$ -- საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული ზარალი;

ცხრილი 1. დაზღვევის ბაზრის მდგომარეობა 2008-2016 წწ.

		2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
1	მოზიდული პრემია (საანგარიშო პერიოდი)	361 457 160	321 147 047	515 471 427	471 066 120	302 640 671	359 798 773	369 529 863
2	გადახდილი ანაზღაურება (საანგარიშო პერიოდი)	188 764 463	221 908 033	264 740 274	387 610 085	219 090 860	210 524 803	231 862 996
3	შემოსავალი ინვესტიციიდან	12 750 572	17 400 956	11 940 915	13 080 687	24 088 530	8 192 976	10 142 135
4	ნამეტი ზარალების რეზერვში, (ბრუტო სიცოცხლის და არასიცოცხლის)	14 692 140	45 409 474	20 406 927	0	9 370 653	0	4 465 495
5	მთლიანი გამოშვება	170 751 129	71 230 496	242 265 241	96 536 722	98 267 688	157 466 946	143 343 507
6	მშპ (მლნ.ლარი)	24344.0	26167.3	26847.4	29150.5	31755.6	33921.6	24344.0
7	წილი მშპ-ში %	0.7	0.27	0.9	0.33	0.31	0.46	0.59
8	ზარალიანობის ნორმა %	52	69	51	82	72	56	63
9	სულ ხარჯები	65780 691 (18%)	65981 14117.5%	70 151 48514.3%	69 041 25413,7%	64 186 35716.7%	69 411 34417.4%	79 990 13321.6%
10	წლიური შედეგიმოგება/ზარალი	33 951 030	(7 293 168)	(22361 414)	(3 282 765)	40 326 088	2 625 240	18 856 176

ზარალის ანაზღაურების კოეფიციენტად აღებული შუალედი (0.3-0.6) აღებულია ჩატარებული ანალიზის საფუძველზე და მიჩნეულია საქმიანობის ამ სახისათვის ოპტიმალურ სიდიდედ, სხვა ხარჯების კოეფიციენტი (0,2-0.25) -- არასაწარმოო სფეროში ხარჯების სტანდარტის შესაბამისია, ხოლო საინვესტიციო შემოსავლის გამოთვლისათვის აღებულია დარჩენილი რესურსის მინიმუმ 0.5% - შემოსავლიანობის ნორმის ფინანსურ ინსტრუმენტში დაბანდება. (ქვეყანაში არსებული საპროცენტო განაკვეთი). ფორმულიდან ჩანს, რომ რაც უფრო ნაკლებია ზარალის წილი მოზიდულ პრემიაში, მით მეტი შესაძლებლობა აქვს კომპანიას ინვესტირებისათვის. სწორედ ეს კანონზომიერება დაფიქსირდა სადაზღვევო ბაზარზე 2014 წელს. დაზღვევის ზედამხედველობის საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) მეთოდით გადახდისუნარიანობის მარჯის გაანგარიშება, სრულ წარმოდგენას იძლევა მზღვეველთა მდგრადობაზე, მაგრამ მასში მოცემული პარამეტრების შინაარსობრივი დატვირთვა ბუნდოვანია და თანაც იმ ქვეყნისათვის, სადაც დაზღვევის დარგის სტატისტიკა არ არის განვითარებული მიღებული შედეგის სისწორე ეჭვს ქვეშაა. გამომდინარე აქედან, ზემოთ მოტანილი მარტივი კანონზომიერება საკმარის წარმოდგენას შეუქმნის ზედამხედველობის სამსახურს, როგორც ცალკეული კომპანიების, ასევე მთლიანად ბაზრის განვითარების მდგომარეობაზე.

დასკვნა

შესწავლილი მასალების, შესრულებული გათვლების და მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარი განხილული წლების განმავლობაში სტაბილურად საშუალო მდგრადობისაა, ასევე სტაბილურია, მაგრამ ძალიან მცირე ქვეყნის მშპ-ში დაზღვევის წილი, შესაბამისად მცირე მამსტაბებითაა წარმოდგენილი საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. მიზეზები, რომლებიც სადაზღვევო ბაზრის განვითარების შეფერხებას იწვევს, არის შემდეგი:

- მოსახლეობის დაბალი შემოსავლები;
- სადაზღვევო კომპანიების ფასისმიერი არაკონკურენტუნარიანობა;
- რისკების შეფასების მეთოდების არასრული გამოყენება;
- სიცოცხლის დაზღვევის დაგროვებადი და დაბრუნებადი პროდუქტის მცირე წილი;
- საფონდო ბაზრის განუვითარებლობა;
- სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულების არადროული და არაჯეროვანი შესრულება.

ჩამოთვლილი მიზეზები, ცხადია ვერ გადაწყდება ერთი კონკრეტული კომპანიის დონეზე, ვინაიდან თითოეული მათგანი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელია და მეტ-ნაკლები ხარისხით განსაზღვრავენ კიდევ მას. უპირველესი პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყდეს არის დასაქმების დონის ზრდა, შემოსავლების დონის ზრდა და ამ ფონზე სახელმწიფოს მიერ დროებით სავალდებულო დაზღვევის შემოღება, რაც თითოეული დაზღვეულის საქმიანობასა და ყოფით ცხოვრებაში შექმნის ფსიქოლოგიურ საფუძველს, სავალდებულო ფორმის ნებაყოფლობით შეცვლის შემთხვევაში შეიძინოს დაზღვევის პროდუქტი და შეინარჩუნოს სიმშვიდე. შედეგად გაიზრდება მოთხოვნა დაზღვევის პროდუქტებზე და ამალდება ყველა ის პარამეტრი, რომელიც სადაზღვევო ბაზრის განვითარებულობაზე ახდენს გავლენას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სადაზღვევო კომპანიების, როგორც საქართველოს ეკონომიკის ინვესტირების წყაროს გამოყენების პერსპექტივები, თეონა ელიაშვილი, თენგიზ ვერულავა
2. ა.ცინცაძე, სადაზღვევო პროდუქტის არსის გაგებისათვის, ჟურნალი `` ბიზნესი და მენეჯმენტი `` N 1, რსუ, ბათუმი, 171-175, 2009
3. სადაზღვევო ინვესტიციების განვითარების პრობლემები და პრიორიტეტები. ჟურნ. “ ბიზნესი და კანონმდებლობა”. ნომბერი, 2010
4. Методы расчета валового внутреннего продукта и национального дохода, Market-Pages.ru; информационный бизнес-портал
5. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=142&lang=geo, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.